

# სამშობლო

№ 351

გაზეთის ფასი:

წლიურად 9 მან, ნახევარი წლით 5 მ., თვიურად 4 აბ ცალკე ნომერი ერთი შაური ღირს. **დაბავაში** 7 კ. წლიური ხელის მომწერლებს გაზეთის ფასი შეუძლიათ ნაწილწილობით გადაიხადონ. ხელის მოწერის დროს 4 მ., დანარჩენი კიდევ ნაწილწილობით

გაზეთის ფასი:

ჩვეულებრივი სტრიქონი პირველ გვერდზე ჰეტიტით ღირს 15 კ., უკანასკნელზე 10 ცენტს. ადგილებიდან კავკასიის გარეუბანებში ბულ განცხადებათა ფასი: სტრიქონი ჰეტიტით ტექსტის წინ 30 კაპ., უკან 20 კაპ. გლობალური განცხადების დაბეჭდვა თითოეული ნაშუადღევს 2 საათ. ღირს 3 მ. 2 ს ა ა თ ს შე მ დ ე გ 4 მან.

ბელაგონი № 76

## გაზეთ „სამშობლო“ რედაქცია ღრმა მწუხარებით აუწყებს სასოგადოებას იროდიონ ევლოშვილის (ხოსიტაშვილის)

უღროვოდ დაკარგვას. წირვა და პანაშვიდი დანიშნულია 8 მაისს, საკათედრო ტაძარში. წირვა დაიწყება დილის 10 საათზე, პანაშვიდი 12 საათზე. მწირველი იქნება იმერეთის ეპისკოპოსი, უსამღვდელოესი გიორგი.



იროდიონ ევლოშვილი.

ალი, რა უყავით ჩვენი ერთობა, რა უყავით ჩვენი ძმობა, ჩვენი პურ-მარილი, ჩვენი ზენ და ჩვეულება, ჩვენი სტუმართმოყვარეობა, ჩვენი პირდაპირობა და ვაჟკაცობა, ჩვენი სიყვარული ქვეყნისა, ჩვენი თავდადება სამშობლოსათვის, ჩვენი ენა, წმინდა და დიდი ენა, ჩვენი ეკლესია, ჩვენი სკოლა, ჩვენი დედეები, ჩვენი ქალიშვილები, სიმდიდრე ჩვენი ბუნებისა, სიმკვირცხლე ჩვენი ხასიათისა. რათა ჰგმეთ ჩვენი წარსული, რათა აბნელებთ ჩვენს აწმყოს, რად არ ჰფიქრობდით ჩვენს მომავალზე სათანადოდ, ბუნებრივად, მშობლიურად? სად არის მოძღვრება იესო ნაზარეტელისა, სად არის მოძღვრება განკაცებისა, სად არის მოძღვრება ილიასი, აკაკისა, ნინოშვილისა, ყაზბეგისა! რად მოკლით ილია, რად დივიწყებთ აკაკი, ვაჟა... რად, რად ჰგმობთ ევლოშვილს, ამ ტანჯულსა და დევნილ მგოსანს, რომელმაც ხიდი გასდო თქვენსა და ჩვენს შორისო?...

### მშვიდობით!

დღეს სამშობლოს მიწა სამუდამოდ გულში ჩაგახტებთ, ძვირფასო იროდიონ! დიდუბის აკლდამის კიდევ მიემატება ერთი მკვნესარე გულთავანი საქართველოსა, მშრომელი ხალხისა, ქართველი ერისა...  
ყოფნა შენი ამ ქვეყნად ტანჯვა იყო დაუსრულებელი სიტყვა შენი კი—შინაღობა უსამართლოებისა და ვიდრე ბოლო მოეღებოდა უსამართლობას, ლექსი შენი არ მოკვდებოდა და სული შენი მარად იქნება ჩვენ შორის.  
დაე გაიხრწნას სადგური შენის მგოსნური სულისა, დაე მატლემბა გამოხრან შენი ოდესღაც სიციხეებით სავსე თვალები, დაე ქვეწარმავლებმა დაუსხონ შენი ქვეყნის მტერთა გულისგამგმირავი ტბილ-შარე ენა!  
სახელი შენი მინც შენის ზარს დასცემს ვერაგობას და ახალი საქართველო არავის დაჩაგვრინებს შენს სულიერ მებრძოლს...  
ხალხი, ქართველი მშრომელი ხალხი იქნება მსაჯული შენი და ოდეს! დაჰკრავს საათი იგი ერის გამოფხიზლებისა, ბედნიერი ხალხის მიერ დაწული ერთ-ერთი დაფნის გვირგვინი ერებზე შენ გაცრეხულ სამარხსაც.  
შინამდის კი, დიდებუე, სავანეე სახელოვან ქართველთა! სიყვარულით ჩიქარ გულში ჩვენგან განაწამებთ, ჩვენი უბედურ ყოფნით დაჩაგვრულ—გაუფურჩქნავი მგოსანი და ზურაბის დღესავით გულდამწვარი შემოგლადებ: ჩვენი იროდიონი შენთვის მოგვიბარებია და შენ მაინც კარგა შეგვიჩაბე იგი! აა ვკვლავ.

### იროდიონს.

„კუბო იყო მისთვის სოფელი“.  
ის თავგანწირული მებრძოლი იყო. ტანჯულმა ცხოვრებამ ვერ ჩაუქრო გულში სევტით ჩადგმული სხივი ნათელი თავისუფლებისა, ძმობა ერთობისა... გოლგოთისაკენ ეზიდებოდა წამების ჯვარსა, ეკლის გვირგვინით დააჯილდოვებს იგი ყვრილობა სტემდენ მას იარას უორკეცემდენ.  
მაინც ვერ მოდრიკეს იგი... და ხმას მქუხარეს, ხმას მაშვრალთა კენეს-ოხვრისას, ხმას განაწამებ ტანჯულ ხალხის მოთქმა ზარისას იმის ფანდურში ებოვა ბინა, მყუდრო საფარი.  
და უყიდა მისებრ გმირებს, ძლიერ-მოსილებს.  
„ქირის ოფლში გაატარეთ სიმართლის და ძმობის დროა“...  
ეს იყო იროდიონ ევლოშვილი!... დაობლებულ ქართველ მშრომელ ხალხთან ერთად, ჩვენც პატევსა ვცემთ შენს თავგანწირულ სულისკვეთებას, შენს წმიდა ზრახვით, ჩვენო იროდიონ?  
ქუთაისის ქართულ სასჯელსადათ ერთი ჯგუფი.

### იროდიონ ევლოშვილს.

ერთი ხსნა შეი სიკვდილი შეიპოვებ „ცა თირუხ მხარეს“... შეუგრადებდა სტატუსს მას შეიდეგს და მაქანებს ცეცხლსა მხარეს...  
ჭერ კიდევ ცრემლი... ცრემლი მღვდარე თაფლებზე კარგად არ შეგვძრებათ.  
ჭერ კიდევ ერის სული და გული მწარე კუხსის დამხმებათ.  
და კიდევ ცრემლი!.. კიდევ შაყები... კიდევ სმარე, ცეცხლ და ბნელი... და შავ მგოსანი ირადიონი— მთა-ერთობას მღვდლებეაი!..  
მაგრამ ეს ცრემლი... ეს ძამ ფლასი. განა შექმნის მგოსან-მეგრძობას?.. ტანჯულ გვემთავსა შეპარადტრეს მათთვის ჯგერტმულს და თაფდატმულს? ირადიონი!.. ის არ მომეკვდას!.. და არც შექვდება მგოსნის ცხოვრება... მხოლოდ სხეულმა აგრძნო სიკვდილი... სულმა და სისოვნამ კი შეადგება... გორგი.

### იროდიონი.

იგი მუბრძობი იყო. დღათგორე ნაწით დაფიდატმული, ჩანს მუშა ხელისათვის აუღერებდა და მათთან ერთად ბუნებრივების მოსაზრებლად ამბობდა. შინის ოფლით რწყვდა ცხოვრების არე მარეს და აფრადებუდი დროით შორს მიმავალი, ჰორაზონტზე მუდამ მოსწინდა... მშრომელთ წინ მიუძღვდა და გასული დროს ცხოვრების ტაფლებში ჩამოვლით სავაზარდ ბილაკებს უჩვენებდა... ხალხი, მისადამ ნდობით ადჭურეაი მიიყუებოდა გაკაფულ ბილაკებს, მიდიდა ადოქმულ ქვეწარმავლებზე... მაგრამ ბრძობის ხმას შეჩვეუდი, სავაზარფხულად აჯარდს უდვდა, რომ მხურვალე მზის სხივებში განაწიდი ჰამინი, დაავადებულ სხეულს შეუბას ღხუნათი მოფლენდა და თავის შედგარა ხმით თაფმურედი ხელისათვის სიმშვენიერე სავაზარფხულად ბრძობისა მოეხრბოდა. მაგრამ შედარეუ დაავადდა! ამაუ სულის მატრანის მაინც გუქს არ იტყვდა... ხორცის ავადობას ძლიერი სულით უმკვლავებდა. მის პარისსესე ოცნების ფრთებით მონაფრენი დამიდი დასთამაშებდა. მაგრამ... ეს მხოლოდ უკანასკნელი ზღანრული სილა მასე იყო მისი განაწამები სულის კვეთებისა... და მოკვდა იგი! და დღეს გლოვობს მას ერთი საქართველოსი!

### ქვანდ იროდ. ევლოშვილს

აფროდიტამ გიშრის მტევრით გაიშალა დალაღები, ივერის ტანჯულ მკვრდზე, ააქრედა ყვავილები. აირჩია ვარდ-ზამბახი, მუშკამბარი, ნახი ია დაფნის რტო და მზის ტოტები შიგ სიმბოლოთ გაურია. ოქროს ძაფით ამოკინდა საუცხოო თაიგული ჯადოსნურათ გამოსახა საქართველოს სევდის გული. და მერმე ის მშობელ კერამ მისცენა თრთოლივით მკერდში ჩასტურეული: „მგოსანს ერთად შენც ჩაყვები სამარეში“.  
იმერული ქაფი.

### ი. ევლოშვილის ხსოვნას

„ქართველო ხალხო, იტირე შვილი, მაგრამ იმეც დროს მით ინეტარე— შენი დიდება, შენი სახელი გულს მისიყვებ, უბით ატარე.“  
ტბილი გრძობები კვლავ გაილესა შევ მწუხარების მწარე ნალველში; ზაფხულის ჩანგმა სველით დაჰკენესა გლოვის პანგები ჩვენს მთა და ველში...  
გაჰქრა იმედი სიხარულისა, ჩაჰქრა კანდელი სხივ მონარნარე— წინამორბედი სიყვარულისა...  
მწარეთ გაჰკივლა წყეულმა ქოტმა, შხამი დაასხა გულს მწუხარესა, მის ბანი მისცა სულმა ბორბტმა, გლოვა ახარა ტანჯულ მხარესა...  
ერის ტაძარზე მწყუდა ზარის ხმა, იმის სამრეკლოს დასხავის ყვავი... დაღულდა ბაგე—ერის გულის თქმა, გვესმა ტირილი გულ დასაწვავი...  
ეს!.. ეს!.. სამშობლო, მითხარი ერთი, თუ რას გიბრებს განგება,—ღმერთი... მითხარ, რას ნიშნავს მარად ღღე სვედა— ტანჯვა—წამება სულ ზედი ზედი!..  
ა. ხარტაშვილი.

### იროდიონ ევლოშვილის

**გადაცხადების გამო.**  
მუდრე კრება დამკრძალავ ბიუროსი. 5 მაისს, 12 1/2 ს. „ნაკადულის“ რედაქციაში მოხდა დამკრძალავ ბიუროს მეთრე კრება, სოფ: მგალობლიშვილის თაფჯდომარეობით. ბიურომ მოისმინა 4 მაისის კრების ანგარიში. ამის შემდეგ ქ-მა ნ. ნაკაშიძისამ განაცხადა: დღეს ჩემთან შემოვიდა ჟურ. „ემშავის მათრახის“ წარმომადგენელი ბ. ბუკია, რომელმაც დამავალი გადმომეცა, რომ იგი ამოშლონ ირ. ევლოშვილის დამკრძალავ სიდიან, რომელზედც წინათ ხელი მოაწერა სხვა ჟურნალ-გაზეთების და ქართულ კულტურულ დაწესებულებების წარმომადგენლებთან ერთად. ბ. ბუკიას განცხადება კრებამ მოისმინა და სიდიან ამოშლეს.  
**ბიუროს დადანიშნავანი.**  
1) ბიურომ მიიღო ოლ. შანშიაშვილის წინადადება და ნაცვლად სამგლოვიარო ეტლისა, დაკრძალვის დღისთვის მოაშხადებენ საკაცს, რომელიც შემკული იქნება ყვავილებით. ქაშვეთის ეკლესიიდან ირ. ევლოშვილის დიდუბის პანთეონში ხელით წაასვენებენ.  
2) ბიურომ ამოირჩია სავანეგეო კომისია სამი კაცისაგან შემდგარი: სოფ. მგალობლიშვილი, ალ. შანშიაშვილი და ა. ლორთქიფანიძე. რომელთაც დაევალი საკაცე-კუბოს და ყვავილების თადარიგი.  
3) დაადგინეს: აკრძალვის კერძო პირთ თუ დაწესებულებების ირ. ევლოშვილის სურათებისა და ნაწარმოების გამოცემა-გაყიდვა პანაშვილების და დაკრძალვის დღეს ბიუროს ნებდაურთველად და დაუკითხავად.

### აუთანი, 8 მაისი.

ბევრი საკირ-ბორატო საკითხი აქვს გადასაწყვეტი საქართველოსა და ქართველ ხალხს!  
ბევრი საქმე გვაქვს მოსაწყობი დიდ-სა და პატარას, თუ კი გვინდა რომ ქვეყანამ ჩვენმა გაიხაროს და ხალხი ჩვენი წელში გასწორდეს.  
თუ მართლს გვათქმევენთ, ჩვენში ჯერ ბევრიც არა გაკეთებულა რა მკვიდრად, საშვილიშვილოდ.  
დღეს თუ ხვალ ისევ თავიდან უნდა დადებრუნდეთ ამა თუ იმ საქმეს, ვინაიდან თუ რამე კეთდება ჩვენში დაქს, ან გაკეთებულა გუშის, ყველა კეთდება და გაკეთებულა სანახევროდ, კეთდება და გაკეთებულა საყველ-პუროდ, კეთდება და გაკეთებულა, ან წამბაძველობით, ან სხვის ბრძანებისა და სურვილისამებრ!..  
რათა? იმიტომ, რომ ქართველი ხალხი არ ცეუ-თენის თავის თავს და ჩვენი საქმეების მოვლა-მოწყობა მართო და განსაკუთრებით ჩვენს ხელში არ არის.  
საქართველო, როგორც ნაწილი დიდი რუსეთისა, იძულებულია დემოკრატიის სერტო სახელმწიფოებრივ ინტერესებს; საქართველო, როგორც ნაწილი ერთის დიდის ერთეულისა,  
ქართველი ხალხი, როგორც ქვეშევრ-დომი დიდი რუსეთის ძლიერის მთავრობისა, იძულებულია იცხოვროს იმ წესით, იმ კანონებით, იმ ადათით, რომელი წესიც, რომელი კანონებიც, რომელი ადათიც ეზრინება სამიპერო მთავრობას.  
ასეთს შემთხვევაში პატარა ერისათვის აღარ არსებობს ხოლმე საკუთარი „მე“, თავისუფალი მოქმედება, ბუნებრივი მისწრაფება.  
თუ სცხოვრობს, სცხოვრობს ისე, ალაღბედლ-სცხოვრობს  
ასეთი ხალხი—თუ მას კიდევ შერჩენია საკუთარი სიციხის ნიშან-წყალი— იძულებულია სულ აქეთ-იქით იხედებოდეს, იძულებულია მუდამ „ბალი—აღობდეს“.  
არა გვერათ? დაუკვირდით გულმშვი-დათ ჩვენ ცხოვრებას და დაინახეთ, რომ ერთი ბეწვითაც არ ვაჭარბებთ...  
ჩვენ ვსწუხვართ ჩვენს ასეთ ყოფნას, ჩვენ ვალსა გვტყენს ასეთი მდგომარეობა ჩვენი ქართველი ხალხის ნასწავლ-შეგ-ნებულ-მებრძოლ-ხელმძღვანელ ნაწილისა, მაგრამ ვიმედოვნებთ, რომ მართო ჩვენ არ შევადგენთ ქართველ ხალხს.  
ქართველი ხალხი, მშრომელი ქართველი ხალხი,—სხვა საქართველო—კურ გან შე სდგას, ჯერ მას არ აუღია ხელში დირიჟორის ჯოხი, ის ჯოხი, რომელიც ასე უყვართ ჩვენში არსებულ ზოგიერთ ძგუფებს, ჯერ მას არ ამოუღია თავისი ძლიერი ხმა... იგი უტდის დროს, იგი ჯერ კიდევ უჭურებს ჩვენს სინიდისს, ჩვენს პატრონებას, მას ჯერ კიდევ ვწამვართ და ვუყვარვართ,—და თუ რაც შეიძლება მალე არ აუღეთ პანგი მის გულისთქმას, თუ რაც შეიძლება მალე არ ჩავსწვლით მის წილს და იქ არ ვეძიეთ იდეალი ჩვენის ქვეყნის არსებობისა, ახალი საქართველო თვითონვე მოგვთხოვს პასუხს და გათვითცნობიერებული, დღევანდ ლამდე მომლოდნე ჩვენის ვაჟკაცობისა— შემოგვძახებს:  
— ამა რა გავიკეთეთ? რა მოგვეცით, რა გვესწავლეთ? რა უყავით, ჩვენი სული და გულისთქმა, რა უყავით ჩვენი იდე-

# ოქის დღიური.

**კავკასიის ასპარაჟი.** შესაძლებელია, ოპერაციებმა უმთავრესი ყურადღება დაიბრუნებინოს მიმართულებით მიიპყროს, რადგან ოსმალები ამ წილში ახლა განუწყვეტელი უტყვენ რუსებს. უდიდესი ყურადღება ექცევა აგრეთვე ბაღდადას, რომელსაც ოსმალები აგრე ადვილად ვერ დასთმობენ.

**მედიანთა** უკვე სამი თვე შეუსრულდა, რაც აქ ბრძოლა გაჩაღებული და შედეგი მისი ჯერ კიდევ არა სჩანს ახლა თანდათან ნათელი ხდება ის მოსაზრება, რომ ვერდენთან გერმანელებს მსურთ ფრანგების ცოცხალი ძალის მოსპობა.

**რუსეთის ასპარაჟი** წერტილმანი შეტაკებებია. გერმანელები ჯარებს ახლად ანაწილებენ დიდი ბრძოლების დასაწყებად.

**ბალკანეთის** ასპარაჟზე შეტაკებები ხდება დოიჩანის მიმართულებით.

**ბალკანეთის ასპარაჟი** საყურადღებო არაფერი მომხდარა.

4) გვირგვინი ერთი იქნება, წარწერით: ქართულ საზოგადოებას რომელსაც ახალგაზრდა მგონები წაიღებენ.

5) ბიუროს კრებები ყოველდღე 8 საათ. „ნაკადულის“ რედაქციაში მოხდეს.

ყოველი ცნობის მიღება მგონის დაკრძალვის შესახებ მსურველს შეუძლიან მიიღოს ყოველ დღე „ნაკადულის“ რედაქციაში შუადღის 12—3 საათ. და საღამოს 5—7 საათ.

ბურო მოუწოდებს ქალაქთა დასაზრება გაუწიონ ირ. კვადრატის დაკრძალვის დასს სურათების და წიგნების გავრცელება. მსურველთა შეუძლიათ ჩაეწერნენ „ნაკადულის“ რედაქციაში.

შეწირულებანი მიიღება დამკრძალვად ბიუროს ხაზინადრის ივ. ნიკ. ზედგინიძის სახელობაზე: თბილისი „მეურნეს“ საზოგადოება, ძველ სემინარიის შენობაში.

შეწირულებანი აღუთქვს შემდეგმა დაწესებულებებმა: თბ. ქართულმა ბანკმა 200 მან. „სახ. ფურც“ რედ.—100 მან. „ნაკადულის“—რედ. 50 მ., ხარფუხის“ კლუბმა—50 მ., წ. კ. გამ საზ.—100 მ. ამთავანმა ზოგმა ფული უკვე გადასცა ხაზინადარს.

შაბათს ების. ანტონის და მისი სამღვდლოების თანამსახურებით ქვაშეთის ეკლესიაში 8 საათზე გარდახდით იქნება პანაშვილი.

## მსოფლიო ომი.

### დეკემბერი.

**უბალესი მთავარ სარდლის შტაბისა**  
**პეტროგრადი.** 5 მაისი. ოფიციალი. დასავლეთის ასპარაჟი. პულკარინის, ოლიკისა და ოლექსინის მიდამოებში მტერი შეეცადა ჩვენს თხრილებთან მოახლოებას, მაგრამ თოფის სროლით მოვიგერიეთ. სხვა ადგილებში ჩვეულებრივი სროლა.

**კავკასიის ასპარაჟი.**  
დიარბექირის მიმართულებით მოწინავე რაზმების ბრძოლა.

**რომი.** 4 მაისი. შტაბის ცნობა 1 მაისს. ტრენტინოს საზღვრებთან მკაცრი საარტილერიო ბრძოლის შემდეგ მტერმა აღიევ და მდ. ისტიკოს მიდამოებში იერიში მოიტანა. პირველ შეტაკების შემდეგ, როდესაც მტერს დიდი ზიანი მივაყენეთ, ჩვენ უკან დაიხიეთ გამაგრებულ ადგილებში. ზღვის ნაპირამდე მტერი ზარბაზნის სროლას აძლიერებს. მონტეკოლოს სანტანასთან და სხვა ადგილებშიც მტერი

მა იერიშები მოიტანა, მაგრამ უნაყოფოდ. მონფალკონეს მიდამოებში საშინელი ბრძოლა მოხდა, აქ ხელთ ვიგდეთ 254 ტყვე, რომდენიმე აფიცერი და ორი ტყვიის მფრქვეველი. ამავე ადგილებში ავსტრიელთა და იტალიელთა მფრინავებიც მოქმედებენ.

**პარიზი,** 3 მაისი, დღის ცნობა. შამპანში და ლუტენილის მიდამოებში საარტილერიო ბრძოლა სწარმოებეს. არგონტში, ფილომორტისთან სანდომონო ბრძოლა მოხდა. მასის მარცხენა ნაპირზე, ჩვენ მოწინავე ხაზებს მტერი ყუმბარებს უშენდა. მორტკომის სიმაღლესთან გერმანელების იერიშებმა უნაყოფოდ ჩაიარა. მარჯვენა ნაპირზე, ოდრემონის ტყის და ვოს ტყის შუა, არტილერია მხედ მოქმედებდა. თიორინის ფერმის ჩრდილო-დასავლეთით ჩვენ საყარაულოზე მტერმა იერიში მოიტანა, მაგრამ მაღე დაეპარუნეთ 4 მაისს, ღამით, ჩვენმა 13 მფრინავმა დამეილერ ბინდევან შომანში 24 ყუმბარა ჩამოყარა. 11 ყუმბარა ჩამოაგდეს ფელერზე და ბრიელის სადგურზე, 14—

ნანტილუა და რომანში, 21— აგრემონის სადგურზე და გოანტერზე. ყუმბარებმა რომდენიმე ადგილას ცეცხლი გააჩინეს ვიქსიურენის ჩრდილოეთით გერმანელთა მფრინავი ჩამოვადეთ იმავე ღამეს, 200 ყუმბარა ჩამოვადეთ არსზე და მეცზე, 40— რესკატის სადგურზე, 40— არნაილის სადგურზე და 30— მეცის-თიონვილის რკინის გზაზე.

## კურნალ-გაზეთებიდან.

გერმანიის მთავრობამ დაზარალებულ პოლონელთა სასარგებლოდ ერთი მილიონი გადასცა.

გერმანიის იმპერიის კანცლერს ბეთმან პოლევეს და ფონ იაჰვის განუცხადებია ამერიკის ელჩისთვის, რომ ახლა მოსალოდნელია გერმანიამ ზავზე იზრუნოსო. სხვათაშორის, კანცლერს უთქვამს, რომ გერმანია სცნობს სერბია-ჩერნოგორიისა და ბელგიის დამოუკიდებლობას იმ შემთხვევაში, თუ შეთანხმების წინააღმდეგობას არ გაუწევენ, რომ მან შექმნას პოლონეთის დამოუკიდებელი სამეფო, რომლის სატახტო ქალაქადაც იქნება ვარშავა.

ჩეხიაში ეროვნული ჯგუფი ამ ბოლო ხანს მეტ მოქმედებას იძენს.

ბუქარესტიდან მიღებულ ცნობით, ამ მოკლე ხანში აქ მოვიდნენ სერბიის ჰერმეიერმინისტრ პაშინს.

მთავრებში მეტად აუტანელი მდგომარეობაა. ავსტრიის მთავრობა ამ ბოლო დროს ძლიერ მკაცრად ეპყრობა მთავრებს. მთავრებში მასიური შიშობობაა, რადგან ავსტრიის მთავრობამ აკრძალა უნგრეთიდან ხორბლის გამოზიდვა.

ჩინეთში ამ დღეებში მოვიდნენ პრეზიდენტ იუანშიკის სამუდამო გადაყენებას.

საფრანგეთის რესპუბლიკის პრეზიდენტს პუანკარეს განუცხადებია, რომ მოკავშირე რენი, მანამდის არ მოითხოვენ ზავს, სანამ გერმანია სამუდამო შემუსვრილი არ იქნება. გერმანიამ რომ დღეს ზავი მოითხოვოს, უთქვამს პრეზიდენტს, მას ყველა უყურადღებოდ დასტოვებსო.

ოსმალეთის სამხედრო შტაბმა სივამი გაგზავნა 4,000 ახალი ჯარის კაცი გერმანულ ხელმძღვანელებით.

ფრანკისა და აღრიანოპოლში ოსმალებს ჯარი სრულებით აღარ ყავს.

ოსმალეთის სომხეთში ხოცვა ქვლეტა გრძელდება.

სირიის ჯარის მთავარ სარდალ გერმანს ასახელებენ.

რუსების სამხედრო ავტორიტეტები ირწმუნებიან, რომ რუსებს იაკობშტადტისა და დენის რაიონში არავითარი დიდი ზარალი არ მოსვლიათო.

ვერდენის ოპერაციას დიდად შეუშალა ხელი რუსეთის ფრონტზე ბრძოლებმა, სადაც გერმანელებმა თავის ჯარის დიდი ნაწილი გადმოიყვანეს.

რუსეთის სამხედრო ავტორიტეტულ წრეებში მოკავშირეთა სამხედრო მოქმედებას ახლა უკვე შეთანხმებულად სთვლიან.

## მოსვლილი აზვანი.

(სარკოვის სჯ. კარკს.)  
კერძო ცნობების მიხედვით, გერმანიის მთავრობა პირველ ივნისს მოახდენს ყველა კერძო საეპრო გემების რეკვიზიციას. მიზანი გამოურკვეველია.

ასკეტი აპირებს ირლანდიას გამგზავრებას, რომ გაეცნოს ადგილობრივ საქმეთა მიმდინარეობას და ეცადოს შეაჩეროს უკიდურესი ზომები მეამობეთა წინააღმდეგ მიმართული.

ბერლინიდან იუწყებიან, რომ შინაგან საქმეთა მინისტრმა დელბიუშმა ქალაქი შეიტანა სამინისტროში სამსახურიდან გასვლისა, ვინაიდან ჯანმრთელობა არ აძლევს ნებას განაგრძოს სამსახური.

229 ხმით, 111-ხმის წინააღმდეგ სოც. დემ. რეისტაგში მიიღეს კომისიის რეზოლუცია, რათა კ. ლიბკნეხტი პასუხის გებაში იქნას მიცემული. ლიბკნეხტის მომხრეებმა ამ რეზოლუციის გამოძიებით შეხვდა სასტიკი ყვირილით: სირცხვილი, სირცხვილი თქვენ, გამცემლებოვო.

4 მაისს ფინანსთა მინისტრი პ. ლ. ბარკი მიემგზავრება საზღვარ-გარეთ. მას გაუყვება მხოლოდ მისი მდივანი ი. დიუბინი. მინისტრი მიემგზავრება პარიზს, სადაც ინახულებს და ითათბირებს საფრანგეთის ფინანსთა მინისტრთან რიბოსთან, და შემდეგ რიბოსთან ერთად გაემგზავრება ლონდონს, სადაც შედგება თათბირი

ლორდ-ჯორჯთან ერთად. ლონდონის თათბირში მონაწილეობას მიიღებს შვეიცარიული შტატების ფინანსისტებიც.

ახლო მომავალში ქალაქი დეპარტამენტის უკიდურესი ცენტრში ვინაიდან დივიდენის რუსეთის თითქმის ყველა ვალაჟს, რათა ადგილობრივთა გაეცნოს პოლიციის დაწესებულებებს.

## ფრანგი ძალი.

ქალბატონი გივარისა ერთი შვილის პატრონი იყო. შვილი ომში იმყოფებოდა რომელიც რომდენიმეჯერ დაიჭრა. ბოლოს ის დაჯილდოვებულ იქნა ჯვრით შემდეგ დაჯილდოვებისა, ბ-ნი გივარის დედის სანახავად წავიდა. დედის სიხარული საზღვარი არა ქონდა შვილის მოსვლიდან მალე შვილი ისევ ბრძოლის ველზე წავიდა. 23 თებერვლიდან 1916 წ. შვილმა დედისთან სიარული მეტათ გაახშირა. დედა შვილის თავისუფლებაზე ეკვი დაეხდა და კიდევაც შეეკითხა შვილს ამის შესახებ, მაგრამ ბ-ნი გივარის ყოველთვის იმატყოდა, რომ მე თავისუფლება მაქვს უფროსისაგან მოცემულიო.

დედა არ დამკაყოფილდა შვილის პასუხებით და ბოლოს გაიგო, რომ იგი იმდღეობდა. მერე, როგორც კი მოვიდა შვილი, დედა იგი კომენდანტს წარუდგინა და განუცხადა: ეს ბატონი მოვლეობის ასრულებას ემალეობო. ბატონ გივარის სისხლის სამართალში იქნა მიცემული. სასამართლომ მას მიუსჯა ორწლის გამასწორებელი რაზმი.

„Matin“.

## დღეს.

დღეს, 8 მაისს, ქალაქის ბაღში გაიმართება სეირნობა ლოტარეა-ალეგრით ქათაისის ქ. შ. წ. გ. ს. განყოფილებების სასარგებლოდ.

მიუხედავად იმისა, რომ დღევანდელ დღე ჩვენთვის საერთო სამგლოვიარო დღეა, მიუხედავად იმისა, რომ ჩვენს დე ქალაქ თბილისში მშობლიურ მიწას უნ მივებაროთ ჩვენი ბრძოლისათვის თავისუფლებული და სანთელივით დამდნარი სვარელი მგონი იროდიონ ევლოვილი მაინც მოუწოდებთ პატივცემულ ქუთისის საზოგადოებას, რომ მან ქართველის სწავლა განათლებისა და წერა-კრების ალორძინების საქმეში მზურვად მონაწილეობა მიიღოს და დღევანდელ სეირნობაზე დასწრებით გააძლიეროს თანხა, რომელიც ხმარდება ამ მეტადს პატიურ მიზანს.

## ნიმუშები იროდ, ევლოვილის პოეზიისა.

**გ ა ზ ა ზ ხ უ ლ ი.**  
კვლავ გაზაფხული, კვლავ ია-ვარდი, კვლავ ბულბულთ სტვენა დაკვიტობს სმენას,

კვლავ სიხარული, ცეკვა ნავარდი და კვლავ ბუნება ეძლევა ლხენას!

მაგრამ ვით ვსჭვრეტდე ვარდსა და იას, ვით შეესტრფილაო მზიანსა დღესა, ვით გამახაროს უტყუთა მეგლისმა, ოდეს გულს ჰგვირავს მეტყველთა კენესა?

აი, კვლავ სევდა ეწვია გულსა, კვლავ ამეშალა მწარე ნაღველი, კვლავ დაეკურთა თვალთაგან მკერდსა შეუკავებლათ კრემლი დამწველი. მე არა ესტირი ჩემ სიკაბუტეს, არც გულის სატრფოს, არცა მყოლია, მარტოკა გდება, მწარე ცხოვრება, ვეკობ, ქულ-ბედათ თან დამყოლია. მე ჩემს გარშემო მომესმის კვესა მავშრალი ხალხი ტვირთ ქვეშა გმინავს, მათი ვაება... უსამართლობა. ვითა ისარი გულსა მიგმირავს. თავისი კრემლით ნაზანი მკერდი, მითხარით ერთი, ვინ არ ივიწყოს, თუ მის გარემო დაბა-სოფელი კენესით აღსავსე—კრემლით მოირწყოს? და როს კენესასთან ერთათ მოგვსმით მზავრეთო სიმღერა, სიცილ-ხარხარი, ვფიცავ ზენასა, თვით პირუტყვთათვის საშინელია და შესაზარი!..

**გ ა ზ ო ბ რ ა ზ ს.**  
მეგობრებო, წინ... წინ გასწით, ნუ შედრკება თქვენს გული, დე, მკერდს სისხლის დალი აზნდეს და შუბლს—ოფლის ნაკადული! წინ, წინ! მედგრათ შეგებრძოლოთ ჩარხ უკუღმართ ამ ჩვენ დროსა, ქირის ოფლში ვავატაროთ

სიმართლის და ძმობის დროშა! დეე, ჩვენ ტოლთ, უფავნო შეილთ, კერპის წინა ჰხარონ ქელი, ფუ, იმ ვაეკაცს, ვინც ინატროს მათი სეე და მათი ბელი! დე, ისეე მათ ავარჯიშონ საქვემძრომით მკლავი, ენა, სხვა აკენესონ და ამ კენესით თვით იპოვონ შეგება-ლხენა... მომავალი იმათ თვის ხვედრს წარმოუძღენის, დასდებს მსჯავრსა, შეაჩვენებს იმათ საფლავს, სამარცხენოს, სახილარს! მეგობარნო, ჩვენ ნუ გვირდა ამ ნაირი სეე და ბელი, ბრძოლა იყოს ჩვენი ლხინი სატრფიალოთ—გულს იმედის მაშ, უშიშრათ შეგებრძოლოთ ჩარხ-უკუღმართ ამ ჩვენ დროსა და ჩვენ რაზმს წინ წავუძღვაროთ სიმართლის და ძმობის დროშა!

## ს ა ვ ო ო ა ლ ო ო ი.

სალამი, ჩემო სამშობლო მხარეე, აკვანო ჩემო ყმაწვილობისა, ერთგულო ძეძუ, უბადლო სატრფო, ჩანგო წარსულის მოგონებისა!

აჰა, კვლავ განახე, უცხო ფირფუზო, ორი მთის შუა ჩაკრული თვალო, ზამთარ და ზაფხულ მთისის დილაე, ედემ-სამოთხეე, მის ცალ ბადალო! აჰა, კვლავ ვაგსტქერ გომბორის მთიდან კავკასიის მთას,—შენს დარაჯს ერთგულს—ალაზნის ველსა, გარშემო ჰალებს, და შენს გულმკერდსა მათში ჩახვეულს. ვაუკქერ და ფიქრი, ვით მყინვარს ნისლი, მებხევეა, წარსულს მიშლის, მაგონებს, ხან სიხარულით იესება გული, ხან კი სიმწარით მათობს, მაღონებს. ეხ, შეთბობ! შეთბობ! გახსოვთ თუ არა თქვენსა კალთებზე ხტობა-ნავარდი

და დილის სხივით აფეთქებული კოკორ აშლილი მაისის ვარდი?! მკითხეთ: სადღაა ეხლა ის ღინი ყმაწვილობისა, უმანკო გული, ვით ტინის წყარო, მისებრიე წმინდა სპეტაკი გრძობა და სიყვარული?! მკითხეთ: რა იქნა ამაცი ფიქრი, თქვენს მწვერვალებს რომ ეტოქებოდა და, ვით ღრუბელნი, თქვენს გუმბათებზე, ისიც ლალ ფრთებით მიჰქრა-მოჰქროდა? სად არის იგი უდარდებლობა და თაიგული გაზაფხულისა? მთებო! ის ვაჰქრა.. მხოლოდ არდილი თანა მღვეს ახლა იმ წარსულისა! ვაჰქრა წავიდა ყრმობის სიხმრები, ჩანთქა ცხოვრებამ, მის ქარიშხალმა, გული ჩაეწურე ზღვაში ნაღველოთ, სხვა იალქანი მოიბა ნავმა! სხვაფერ ველინებ ახლა, სხვას ვმღერი, ვმღერი თუმც ლიღინს ცრელოც თანასდგეს; და ახლა, მთებო, თუმც კვლავ მიყვარხართ, მაგრამ ეს წყალულებს ვერ დამიამებს! მიყვარხართ ახლაც, მსურს თქვენს გაზაფხულს,

## ჩემი იმელიც შეგებრძობილოს.

და მაშინ ნახავთ, ვით მოვიღმინო, როს გულმაც ლალათ დიდიღინოს! მაშ, სალამს გიძენი, სამშობლო მხარეე, აკვანო ჩემო ყმაწვილობისა, ერთგულო ძეძუ, უბადლო სატრფო, ჩანგო წარსულის მოგონებისა!

## სიგლიბა ასოთ-აფშოპისა.

ჩვენ სულ ვაწყობთ ერთმანეთზე პაწაწინა ლითონ-რკინას, ზოგი აქეთ, ზოგი იქით, ზოგი კიდევ განაპირას, აარჩიე, რიგზე დადე; ვაკეთე რკინის ბაღე; ან-თან ბანი, გან-თან ღონი და ერთმანეთს შეუფარდე. ასე ვაწყობთ ერთმანეთზე პაწაწინა ლითონ-რკინას: ზოგი აქეთ, ზოგი იქით

ზოგი კიდევ განაპირას. ვერაფერი ხელობაა, კუქს ვერ აძლობს ეს ტიალი, მაგრამ, რას იქ, საცა არა სჯობს, მაინც ვამბობთ: „აღა ბალი!“ აჰა, ბიჭო, დატრიალდი, გააცურე ხელი მარდათ, გავთავოთ ეს გაზეთი, აველია საქმე ნარდათ. შუაღამე გადავიდა, დატრიალდი მეტრანაყე: ატრიალე რკინის რგალი, ბიჭო, მკლავი გააკაე! მკვდრის სუდარას სახე გვიგავს თვალები კი მიმქრალ სანთელს, ლომი იყო ვერ აიტან ფეხზე დგომას, ძმაო ამდენს? ხეჩნიბილი გამიშეშეო.

## გ ა ბ ა ნ ტ ა ლ ა.

დღეს, როგორც გუშინ, ქუჩა-ქუჩა კვლავ იარები, ტანს მჩვრები ვფარავს, ფეხებს—წყალული და იარები. დაწვ გაყვითლებულს შუბლს ვადავდის ოფლი სისუსტის, ღონე-მიხილი უშკლავდები წყურვილს და სიმშობს. ხელი კანკალებს, ტუჩი ვითრთის. მუხლთაც გისუსტეს და მანდავ ახლო ზედ მიყვრდენ სისხლის კედელს. აავლე თვალი ხალხის ბრბოლა შენსა გარემო: ყველას სახეზე ღიმილი ჰკრთის ტვინით, საამო. მხედავ მათს ტანზე ოქროს, ვერცხლსა, ძვირფას ფარჩასა და ემღერები გზა-უკუღმართს ცხოვრების ჩარხსა. ვაი-ვგაღახი, ზიზღი, მტრობა, შურისძიება, სუყველა ერთათ შენს თვალებში გამოითქმება. ამ სიცივეში ქუჩა-ქუჩა რას დაწინწალდებ? სიკვდილი გიჯობს, ტანჯულ სულს რაღას აწვალდებ! გინდა ითხოვო... ვერა მხედვე; გული წუხლებდა გაწვდილი ხელი სამოწყალოდ, უკუ ბრუნდება. შენ მუქთათ ლუქმა არა დროსა არ გიჭამია და მოწყალების აწ მოთხოვნა შენთვის შხამია. ნურც გამოვლი, უმედურო, თანავრძობისა, შენ,—მატანტალას,—აწ არავინ გიზავს ძმობასა. ოდეს ჰაბუქსა, სიკოცხლით სავსეს, ჯან-ლონე გქონდა, შენ ოფლსა ღვრიდი და იგი კი სხვა კაცს მიჰქონდა, სკიბავდი ძარღვებს, ნაოფლიდან ისლა გრჩებოდა, რომ ღარიბულათ საწყალს კუქი გამოგვეცებოდა,

მუხლები მთლათ მიკანკალებს, თითები სულ დამიღუნდა, ველორ ვშლი და ვერც ვხარი მკლავებს ეჭ, რა უწყობ, „მოწინავე“ დღეს გაზეთში კარგი არი, „სიმართლე“ და „დამაშვრალი,“ ცხელ ცხელებს სულ აქ არი! რა გგონიათ! ოროდღე ჩვენც რამ ვიცით აქა-იქა; თან ვაწყობთ და თან ვკითხულობთ, ავერ აზრიც ვაიხნიქა! დავიკვებებ: ჩვენშიც არი პოეტე და კრიტიკოსი, ვასო, ვექტორ ჰოუგათ გყავს და ანდრო კი არის როსი! ასე ვაწყობთ ერთმანეთზე პაწაწინა ლითონ-რკინას, ზოგი აქეთ, ზოგი იქით, ზოგი კიდევ განაპირას!

მით უფრო, რომ ჩვენი მსურველი თანაგრძობა სასიამოვნო იქნება თვით ჯერ კიდევ სამშობლოს ცაში მიმომდინარე განსვენებულ მგონის სულისათვის, რადგან იროდიონ ვედოშვილს ანბანის მკვლევარსა და პატარაველს უფრო დაფასებს და პატივს სცემს ვიდრე უანბანო.

და დღევანდელი სერიოზობის მიზანმიმართულ ქართველთაშორის ანბანის გავრცელება. მაშ, თვით ჩვენი ძვირფასი მგონის პატივსაცემად მგლოვიარე გულით გავსწიოთ ქალაქის ბაღში ეროვნულ სახალხო საქმეში ჩვენი წვლილის შესატანად.

აბ — და.

# ახალი აპგაპი.

დღესასწაულების, გამო, მორიგი ნუქერი ჩვენის გაზეთისა გამოვა ოთხშაბათს, 11 მაისს.

იმერეთის ეპისკოპოსი, ყოველად სამღვდლო გიორგი, რომელიც საჩხერისკენ უნდა წასულიყო სამწყსოს დასათვლიდ რეზიდენციად, საგანგებოდ დარჩა და დღეს საკათედრო ტაძარში გადაიხდის წირვასა და პანაშვილს ჩვენის მგონის იროდიონ ვედოშვილის სულის მოსახსენებლად.

წირვა დაიწყება დილის 10 საათზე, პანაშვილი წირვის შემდეგ.

საოლქო სასამართლოს უფროსი თავჯდომარე ატყობინებს ქუთ. გუბერნატორს, რომ ეფუძვლება, რომ 26 მაისსათვის ქუთ. საოლქო სასამართლოში გაირჩევა ნიკო ნიკოლაძის სისხლის სამართლის საქმე.

ქუთაისის გუბერნატორს, გრაფ-გუდოვის თბილისიდან ამ ორ დღეში მოვლიან.

ვაჟა-ფშაველას სახელობის სამკითხველოს მზრუნველმა კომიტეტმა შუამდგომლობა აღძრა ქუთ.გუბერნატორის წინაშე, რომ ნება დართოს ამ სამკითხველოს სასარგებლოდ 13 მაისს გამართონ ელექტრო-თეატრ „რადიოში“ სენსები.

8 მაისს ქუთ. საკრებულო დარბაზში გაიმართება საოჯახო საღამო.

საკრებულო ამ დღეებში გადადის საზახულო შენობაში.

3 მაისს, ებრაელ ელო ენუქაშვილის სახლში შესულან მიწის მზომელთა მოხელეები: მიხეილ საველიევი და ალექსანდრე გრეკოვი და მოუხდომებიათ ქალების გაუპატიურება. ყვირილზე მოსულა თვით პოლიცემისტერი და ეს ვაჭაბუკი

მაშინ უნდოდა ქედ-წაბრილი მუშა სოფელსა, უკუღმართს... გულქვას და სიმართლის დამაგმობელს! ეხლა-კი, როცა ვატყვია ჯანი, გისუსტა მკლავმა, დაღიხარ, მაგრამ ზეზეულათ შთაგნთქა საფლავმა!

ხელს უღარა სძრავ, ოფლის ვეღარ ღვრი... მთლად ხარ უვარგი აწ სიოფლისათვის შეიქეხი შენ მეტი ბარგი.

სადმე ქუჩაში ამოვივა ტანჯული სული... უკანასკნელათ დაიკვნესებს ტანჯული გული... შენ შეალიე სოფელს შენი ღონე და ძალა, იგი კი იტყვის: „მოკვდა ჭია და მატანტალა“!

## გ მ ი რ ი.

შეუბოვარი, გულ ზვიადი და თავ-მომწონე, ამყათ მჩენი სდგას და ოფლს ღერის ბრძოლის ველზედა, სადაც ბაალსა\*) გაუშლია თავისი დროშა და თვისი ტახტი აუშართავს ტანჯულთ მკერდზედა... სიცილ-ხარხარით, გესლიანი, უქმები სიტყვით ბრბო უგუნური ტაოახს ესერის ურჩს, ამაყ ძესა და თითქო დემონს, დამამზობელს ცისა და ქვეყნის, წყველით და კრულვით ინსენიებს იმის სახელსა. ზოგნი შიშით და მოწიწებით აძლევენ გზასა, ზოგნი კვირობენ მისსა ესდენ თავ გამოდებას, ზოგნი ცბიერნი,—ფარისველურ ენა-მკვერობით გზას ულოცავენ, შეასხამენ ქებათა ქებას. ჩუ, სულმდაბალნი! მის არა მსურს თქვენგან დიდება: მის მეგობარი ხალხი არის, ხალხი ტანჯული, შვილს ესმის მშობლის მაჯის ცემა, კენესა, ტვილი და, ღვიძლზე ნადებს, შურის გეგით ეგზნება გული. თქვენ ვერ მიხვდებით მისსა გრძობას, მისსა საწადელს; თქვენ ხომ არ გვითა, არა გცოვათ, ცხოვრობთ და სტკებით, ბაალთან ახლო, ვითა ქურუმთ მოგიკეცნიათ. იგი ვარვარებს და თქვენს ხარბათ სობებით და სთბებით. ესროლეთ გუნდა, შეუთვალეთ წყევლა და კრულვა, ის წამების გზას ჭირის ოფლით აპოხიერებს, და, ვიდრე გმირსა გული უძგერს ხალხთ სიყვარულით, ძირს არ დაუშვებს საბრძოლველათ ამართულ ხელებს.

## მ შ უ ის ს ი მ ღ ა რ ა.

შეშველს მიწაზე, დიდი ქარხნის ქვემო სარდაფში იწვა მუშაკი, ზედ ეხურა ჩოხის ნაგლეგი; თავი დაეყრდო კონკის-ძველა ტაძარისათვის, მხოლოდ ეს იყო მის სიმღიდრე, მისი ავეჯი. ეძინა მუშას, ისვენებდა დღისით მოღლილი, მის მძლავრი მეკრდი ოფლიანი მძიმედ იძვროდა, და იმდენადვე ტკბილი იყო ახლა მის ძილი,

\*) ბაალი—ყრბი.

ნები პოლიცემიაში წაუყვანია, სადაც ოქმი შეუყენებია და გუბერნატორისთვის გადაუტოვა. გუბერნატორმა საველიევის გადაუწყვიტა ორი კვირის ციხე და გრეკოვს ერთი.

ვაჭრებმა ძმ. ა. აშავევებმა წინადადებით მიმართეს ქუთაისის ქალაქის გამგეობას, რომ მათ შეუძლიათ ქალაქის გამგეობას მიაწოდონ რამდენიც საჭირო იქნება საუკეთესო ხარისხის სიმინდი. ფული ქუთაისის რკინის გზის სადგურზე ჩაბარებული ეღირება 1 მან. და ერთ შაურად. სიმინდის მოტანა იმ პირობითაც შეგვიძლია, ამბობენ აშავევები, რომ ქალაქმა ღირებული ფასი გადაიხადოს გაყიდვის შემდეგ. ეს წინადადება დიდი სიხარულით მიიღო საოჯახო კომისიამ.

ქალაქის საოჯახო კომისიამ სანო ვაგის მოსატანათ შემდეგ ნაირათ გაანაწილა ვაგონები: ადგილობრივი მიმოსვლით. მისთვის 3; თევზისათვის 2; შესახვევ ქალაქისათვის 1; შუშებისათვის 1; შუშისათვის 46; ხეტყის მასალისათვის 6; ცემენტისათვის 8; ცარცისათვის 1; კარდონის ქაღალდისათვის 1; სხვადასხვა სანო-ვაგისათვის 3; ზღვით: პურის ფქვილისათვის 35; სიმინდისათვის 6; პირდაპირი რიგით რკინის გზით ფქვილისათვის 30; შაქრისათვის 1; წუმწუმისათვის 2.

## თეატრის ძროხიბა.

კვირას, 8-სა, და ორშაბათს, 9 მაისს, თბილისის ქართველ მომღერალ მგლო ბელთა გუნდი მიხეილ კაყისძის ლობჯინის გამართავს ორ დიდ კონცერტს, სხვადასხვა პროგრამით. თითოეული კონცერტი შესდგება ოთხი განყოფილებისაგან კონცერტში მონაწილეობას მიიღებენ: იოსებ საღირაშვილი, (თარზე დაუკრავს) ვანო უსტიაშვილი, (დაკრავს ფანდურზე) ლუარსაბ ჯანდიერი—შესარულეებს ურმულს, ძმანი კავსაძენი შესარულეებენ (-ტრაოს). კონცერტზე აგრეთვე შესრულებული იქნება სრულიად ახალი სიმღერები ჯერ არ გაგონილი ქუთაისში, როგორც, მაგალითად: „ძლიერ სტიროდა“, „მკრთალი ნათელი, ელეგია“, „შერი ბიკო ბაჩასა და სხვა.

შესრულებული იქნება აგრეთვე: „კახური მრავალ-ჟამიერ“ და „ზამთარი“. მესამე განყოფილებაში გუნდი გამოწყობილი იქნება სპეციალად გლეხური სიმღერები. ბილეთები უკვე იყიდება.

## პენსიონის წაგლევის შესახებ.

გლეხობა და განსაკუთრებით წვრილი მევენახეები ქუთაისის გუბერნიისა, ძლიერ დაფიქრებული არიან შაბაძან გოგირდის უმოწველობით და შიშობენ, რომ ღვინის მოსავალი მათ არც წელს ექნებათ.

მევენახეთა საყურადღებოთ ვაცხადებ, რომ წელს გოგირდ-შაბაძანით წამლობა ვაზისა არც იგი საჭიროა, ვინაიდან ბევრი ვაზი ახლა ისეთი სახის არის რომ, შეიძლება სრულიად გაფუჭდეს კვირტებ შივე, ასე რომ მის ნაყოფზე ლაპარაკი ზედმეტია.

დღეს ჩვენ ვხედავთ, რომ მრავალი მშრომელი ხალხი ტყუილად ჰკარგავს დროს, და განუწყვეტილად ელოდება 4—5 ფუთ შაბაძანს. პროტესტებს უცხადებს იმათ, ვისაც შეუწყვეთა შაბაძანი და ამას შედეგად მოსდევს უბრალოთ დროს და კარგვა მათგან და მრავალ ღვინის შემდეგ 4—5 ფუთ გოგირდ-შაბაძანის ნაცვლად იღებს 4—5 გირვანქას, რაიც მის მოთხოვნებთან იოტის ოდენათ არ შევლის. თუ ვის მიუძღვის ამაში დანაშაული, ამის განხილვას აქ თავი დაევენებოთ უდროობის გამო. უნდა აღინიშნოს მხოლოდ რომ სავაჭრო ფირმის ერთმა წარმომადგენელმა,—ფრიდლანდმა—ვიწიადმოქმედების დეპარტამენტის წინადადება თავის სასარგებლოდ გამოიყენა; ამ ამბავშიც ვაგვარათ, რომ ვაზის წინასწარი წამლობა სრულიად მივტოვეთ და ამით უფრო დიდ განსაცდელში ჩაგვადგეთ ისედაც დაზარალებული ვაზი.

სამწუხაროდ, ხალხმა არ იცის, როდის უნდა ვაზს აუცილებლად წამლობა და როდის არა. ამიტომ ჩემი განზრახვა ჩემი ცოდნა და არა კრიტიკული გამოცდილება გავუზიარო ხალხს, თუ როდის სჭირდება ვაზს წამლობა.

5 მაისიდან 15 მაისამდე ვაზს წამლობა არ უნდა სამწუხაროდ, მევენახეობის პერსონალი ამას სავსებით არ აუწყებს ხალხს. აქ მე მოვიყვან მევენახეთა და სხვათა სახელმძღვანელოთ ვაზის საწამლოდ შემდეგ ნაირ წესს:

- 1) წამლობა უნდა ხდებოდეს ყოველთვის წინასწარად, ე. ი. გაზაფხულზე როდესაც ვაზის „პობილს“ უკვე სამი ფურცელი ექნება გაოღებული.
- 2) როდესაც „პობილს“ 3 ან 5 ფურცლიანდ აღწევს, მაშინ წამლობას არავითარი მნიშვნელობა არა აქვს.
- 3) როდესაც 8—9 ფურცელი აქვს, უფრო მეტი. მაშინ წამლობას ვაზი სრულიებით არ სჭირდება.

ყოველი რაიონის ინსტრუქტორის მოვალეობაა მცხოვრებთ თავის დროზე განუხარტონ ვაზის წამლობა. მაგრამ, რადგან ისინი ამას ვერ ახერხებენ, და ამისთვის არც საჭირო ნივთები აბარებენ, ამიტომ ურიგო არ იქნებოდა ქუთაისში მიეციათ შემდეგ წესისთვის, მაგალითად: თუ ზამთარი და გაზაფხული წვიმიანი იყო და მიწა უფრო ნოყიერია ვაზის წამლობა საჭიროა ადრევე დაიწყოს უფრო ძლიერ სქლად გახსნილი წამლით მხოლოდ, ზამთარი და გაზაფხული მშრალი იყო და მიწაც გამომშრალა, მაშინ წამლობის დაწყება შეიძლება უფრო გვიან, მაგრამ უნდა გვახსოვდეს ისიც, რომ ამ შემთხვევაში, ე. ი. დაგვიანებით წამლობა, როდესაც „პობილი“ უკვე გაჩენილია, წამლობა ვერ იხსნის ვაზს გაფუჭებისაგან. საჭიროა სარგებელიც ზამთარ გაზაფხულზე კარგი ამინდით, მაგალითად, როგორც იყო 20 აპრილიდან 30 აპრილამდე, როდესაც ვაზი წამლობას უფრო მეტად სჭირდება, ვიდრე სხვა დროს; როდესაც თბილი და საშუალო ამინდებია ვაზის ფურცელი და „პობილი“ აღარ სჭირდება წამლობას, რადგანაც ხდება „მილდიუმის“-ს საქაროდ განვითარება და სხვა.

უნდა კარგათ შეზავდეს წამალი. ძლიერი კარგი იქნება თუ წამალი ცოტა მომთაო დარჩება, ე. ი. საჭირო არაა ზედმეტი კირის გარევა წამლის შეზავების დროს, რაც ვაზის წამლობის შემდეგ თითქმის ყველგან ეტყობა ფერზე, რომ ზედმეტი კირი ურევია. ამასთანავე საჭიროა, წამალი შეესხას ვაზის ყველა ნაწილს, როგორც შიგნიდან, ისე გარედან, ისე სამტყვენე კვირტსაც და თითქმის უკეთესი იქნება თუ შეწამვლის შემდეგ სამტყვენე კვირტს მოეყრება შაბაძანის ან სხვა სპეციალი ფხვნილი.

თუ წამლობამდის ვაზის კვირტს მიღიუ გამოაჩნდა, მაშინ წამლობა ვერას უშველის.

აუცილებლად საჭიროა ვაზის ფოთლების წამლობაც, რადგანაც ფოთლებისაგან კვირტი იღებს საჭირო სიტკობებს, მაგრამ უმთავრესათ კი სამტყვენე კვირტებს უნდა მიეჭკეს დიდი ყურადღება და წამლობაც თავის დროზე უნდა მოხდეს ხოლმე.

კიდევ ბევრი სასარგებლო დარიგება შეიძლება მიგვეცა მევენახეთათვის მიღიუს შესახებ, მაგრამ აქ მხოლოდ ამ მოკლე დარიგებით დავკმაყოფილით. რაც შეეხება ნაცარს და მის წინააღ-

მდეგ წამლობას, აქ ვერაფერი ვიტყვი. რადგანაც გოგირდის შემოღებისთვის თითქმის არც კი ვიგზოუნია, მაშინ, როდესაც ყველა მევენახე იცის, თუ რამდენი ვაზი ფუჭდება და ისპობა ამ შემთხვევაში წამლობით, რომელი სერიოზული უპარგავს ღვინოს თავის ღირსება-სიკარგმს.

ნაცრის თავიდან ასაშორებლათ საჭიროა წამლობა უფრო ადრე, ვიდრე მიღიუს წინააღმდეგ წამლობას შეუდგებით. ძალიან ბევრი მემამულე შამაშართავს ხოლმე მე ერთგვარი (კომილის) შესახებ, რომელი ქიაც დიდათ ვნებს ღვინის მოსავლს. ეს ქია მე შევაჩინე 8 წლის წინად და ვაცნობე მიწადმოქმედების დეპარტამენტებს, რომ იგი დიდათ ვნებს ვაზს-ათქო.

6 წელიწადი იქნება, რაც ჩემს სანერგეში ეს ქია აღარ შემხვდებია; სოფლად კი თურმე დიდ ზარალს აყენებს, მემამულეებს, მაგრამ არ წამლობენ. ვინაა დამნაშავე, ძნელი ასახსნელი არაა. ინსტრუქტორები და მემამულე ხშირად მომმართავენ ხოლმე და სჩივიან ამ სენის წინააღმდეგ, მკითხავენ ამ სენის საწინააღმდეგო საწამლებელ საშუალებას მაგრამ, როგორც სჩანს, სათანადო ზომებს ჯერ კიდევ არ ხმარობენ.

## ერობა ჩვენში.

3 მ ა ი ს ი ს. (გაგრძელება).

დ. ჯესნაჯი აცნობს კრებას ქუთაისის გუბერნიის საერო მთავრის მდგომარეობას, ყველა მხარეები თავს შეინახავენ, მხოლოდ ლეჩხუმის, რაჭის და ოსურგეთის მხარას დასჭირდება საგუბერნიო ერობის დახმარება. კენჭს უყრიან და ერთხმად აღიარებენ, რომ ქუთაისის გუბერნიის შემოღებულ იქნეს საგუბერნიო და სამაზრო ერობები.

აქის გუბერნიის შესახებ კრება ერთხმად აღგენს ერობის შემოღების საჭიროებას გუბერნიის და ყველა მხარეში.

ერევის გუბერნიის შესახებ საფინანსო კომისიის აზრია, რომ ეს გუბერნია ერობას სავსებით შეინახავს.

დაფუხანთა აცხადებს, რომ უმცირესობის აზრით, განჯის და ერევნის გუბერნიებში შემოღებული უნდა იქმნას არა სამაზრო, არამედ სარაიონო ერობა. ამისთვის ჩვენ თავს ვიჭერთ და კენჭის ყრავი მონაწილეობას არ ვიღებთ.

ს. ს. ანუთაშვილი თხოულობს, რომ ამ გუბერნიების შესახებ კენჭის ყრა უნდა იყოს არა ისეთი, როგორც სხვა გუბერნიების შესახებ, არამედ ცალკალკე საგუბერნიო, სამაზრო თუ სარაიონო ერობაზე.

ტაფიზაშვილი ამას არ ეთანხმება და ამბობს, რომ სარაიონო ერობა კრებამ უკვე უარყოფა.

თაყადაშაშვილი აცხადებს, რომ თანახმად მის უმაღლესობის მეფის ნაცვლის სურვილისა კრებას მოხსენდება დასაბუთებულ იზრით, როგორც უმრავლესობის, ისე უმცირესობის.

კრებას მოხსენდა უმრავლესობის აზრი, რომელიც მოითხოვს სამაზრო და საგუბერნიო ერობას, ამ მოთხოვნის შემთხვევაში უმრავლესობა იმით ასაბუთებს, რომ ეს აღმინისტრატული ერთეულები რუსეთში ერობას საფუძველად უკვე ნახევარი საუკუნე უღვესო და იქ აროდეს არ წამოყენებული საკითხი მის წინააღმდეგო საგრონომიო რაიონების მიღება შექმნის ისეთს მდგომარეობას, როდესაც ერთი საერო ერთეული ორ სამაზრო აღმინისტრაციას იქნება დამოკიდებული და სხ.

უმცირესობა ეხლანდელი აღმინისტრაციულ დანაწილებას—გუბერნიებად და მხარებად აღიარებს არა ბუნებრივად და მოთხოვს, რომ ერობა აშენდეს ისეთს ერთეულ ერზედ, რომელიც უფრო ერთგვარი იქნება ეკონომიურად და ეთნოგრაფიულად. უმცირესობა უმთავრესად ეხება

რამდენათ დღისით გაწარებით ლუკმისთვის ბრძოლა. მაგრამ ნელ-ნელა შეენაკეთა ნაოფლი შუბლი, სახეს გადაჭრა სანთელივით ყვითელმა ფერმა, დახე, მიღშიაც არ ეღირსა მას მოსვენება, აქაც კი უსწრო ცხოვრებისა მსახვრელმა ხელმა შავი სიზმარი, ჯოჯოხეთი შავი სიზმარი დაესიზმრა და... გულმა უწყო მწარედ ღონება; ვი, საბრალოვ, შევ-ღლიანო, თუ არ შავს რამე ნათელს რას შექმნის, რას მოგიძღვნის შენი ოცნება! ზნედავს ბედკრული თავის თავსა, სახლს დაშორებულს, სხვის კარებზედა იგდებინებს ჯანსა და ღონეს, დასთმო თვის კერა, მაგრამ ამით მისმა ცოლ-შვილმა ვერ აიცილნეს სიღარიბე, ვერ მოიფინეს; ზნედავს მუშაკი კარ-მიღამოს, ვერანათ შეთენის, აგერ მის ცოლი დაყრდნობია ქოხის კარებსა, გასცქერის ქმრის გზას, მოუთმენლად იმას მოეღის, და თანაც კრემლი არ შორდება ქალის თვალებსა. აგერ პატარა ფეხ შიშველა ხუთი წლის ნიკომ თავი ანება ჰაჟა დასთან ბურთის თამაშსა, შემოტრიალდა, დააცქერდა დედას თვალებში; თვითაც ატირდა, შეეხვია დედის კალთასა. „აღარა მშია, დედი, აღარ, აღარც მომშოვია, ნუცასაც ვიტყვი, რომ არც იმას მომივდეს პური“... თქვა ეს ბალანამ, თანაც დედას ჩაეკრა მაგრა და ამ თქმით უფრო აუჭკროლა დედის გული. ზნედავს მუშაკი ამ ჯოჯოხეთს სანახაობას, ჰსურს შეაყენოს თვალთვან კრემლი, ვერ მოითმინა, და უცებ, თითქო დაკადილმა ძლიერმა ღომმა, შემოფოთებულმა ერთი მწარედ ამოიგინა. ეს გმინვა იყო, გმინვა წყველის და ვედრებისა, თუმც არ იცოდა, ვის რას სთხოვდა, ვის ემუქროდა, და ამ ორ გრძნობის ბრძოლის ნეშით—ცხარე კრემლები, ვით კლდიდან წყარო, თვალეზიდან ძირს გადმოჰქროდა. გამოეღვიძა; ჯოჯოხეთი იგივე სურათი კვლავ თვალ-წინ უდგა და წაიღო საგონებელმა; ტირის უმწყო, ან ვინა ჰყავს თანამგრძობელი, და ან რა უთხრას ნესტიანმა ქარხნის კედელმა!

\* \* \*

რას შესცქერ, ძმაო, ფანჯარაში მდიდრის ქულოჯას, არა ჰგავს ვანა კონკათ ქცეულს შენს ძველ ფარჯას? შენ გააკეთე, შენ შექმენი, ძმაო, ეგ ფარჯა, მაგრამ რაღაცა მანქანებით შენ კი არ დაგრაჩა! ის სხვად წაიღო, შენ გარგუნეს ეგ კონკის ძველი! ასე რათ ჰხდება?!—ჰკითხე მაინც შენს თავს ერთხელ!

განჯის და ერევნის გუბერნიის და მოთხვის, რომ აქ ერობა დიუკოს ზონებდალ — მთიანად, საშუალო და დაბლობად, თანხმად ეხლანდელ აგრონომიულ რაიონებისა.

გერმანული სიტყვაზედ უარს ამბობს — რაც მე მინდოდა მეთქი — უმცირესობის მოხსენებაშია.

ა. ა. ზურაბაშვილი აღნიშნავს, რომ უმცირესობის მოსაზრებები უკვე სექციონში განვიხილეთ და ესეა არ ესცნობთ საჭიროების ხელმძღვრელ განხილვას.

თავ. დ. ე. წილაშვილი გუბერნიების დანაწილებას მთიან, საშუალო და დაბლობის ზონებდალ შეუძლებელია და ზოგჯერ ხერხებდალ სცნობს, მას მოჰყავს მეფის ნაკვალის საბჭოს უფროსიდან სექციონში, რომელიც ადასტურებს, რომ საავტონომიო რაიონების შემოღება ნაყოფი სრულდება არ იყო ქვეყნის ეკონომიური და აგრონომიური შესწავლის.

ს. ა. გერმანული იცავს უმცირესობის წინადადებას და ამტკიცებს, რომ განჯის და ერევნის გუბერნიებში სამაზრო ერობების ნაკვალ უნდა შემოღებული იქნას, ერობა საავტონომიო რაიონების მიხედვით, ეს დანაწილება ამასთანავე ეთნოგრაფიულ პირობებს ეთანხმება.

ს. ა. აუსუპუქო, როგორც ბესარაბიის მცხოვრები ადასტურებს, რომ ეს კუთხე ამიერკავკასიის ძლიერ ჰავას და იქ სამაზრო და საგუბერნიო ერობა ძლიერ კარგად მოღვაწეობს. იქ სცხოვრობენ მოლდავანები, რუსები, მუსულმანები გერმანელი კოლონისტები და ბოშები (ცოცხები) და მიუხედავადამისა, იქ არავის არ მოსვლია აზრად ერობის დანაწილება ეთნოგრაფიულ პირობების მიხედვით.

ტაშიშაშვილი ადასტურებს, რომ აგრონომიული რაიონები წამოყენებულია იმ აზრით, რომ ერობა დაემყაროს ეთნოგრაფიულ დანაწილებას და შეაერთოს საერობო დაწესებულებებში განსაკუთრებული ეროვნებანი, რაც უკვე ერობის მიზანს ვარაუდ უდგა.

ს. სავაძე საავტონომიო რაიონებს იცავს და არწმუნებს კრებას, რომ ეროვნული ერობის შექმნის სურვილი არ აქვს უმცირესობას, ვინაიდან ერობა ეკონომიური ხასიათის ორგანიზაცია უნდა იყოს. მე მივიჩნევ, რომ ჩემი კოლეგა იუსუპუქო ასეთს რამეს გვწამებს ჩვენი.

კენჭის ყრით დიდი უძრავესობა 21 ხმის წინააღმდეგ კრება ადგენს რომ ერევნის გუბერნიის შემოღებულ იქნეს არა სარაიონო, არამედ სამაზრო და საგუბერნიო ერობა.

გ. ხვისტა გუბერნიის შესახებაც ამავე ხმებით მიღებული იქნა სამაზრო და საგუბერნიო ერობა.

დალესტანის ოლქის შესახებ საფინანსო კომისია აღნიშნავს, რომ დალესტანის თავის საერობო ბიუჯეტით თავს ვერ შეინახავს და მათთვის რამე სხვა საშუალება უნდა გამოიძებნოს. კრება ერთხმად ადგენს, რომ დალესტანში შემოღებულ იქნას ერთი საგუბერნიო და სამი სამაზრო ერობა ბაიანის ოლქის შესახებ საფინანსო კომისია შესაძლებელია სცნობს ერთი საოლქო და ორი სამაზრო ერობის შემოღებას კრება ერთხმად იღებს ამ წინადადებას.

შავი ზღვის სანაპირო გუბერნიის და დადგინეს ერთი საგუბერნიო და სამი სამაზრო ერობის შემოღება.

ყარსის ოლქში დადგინდა ერთი საგუბერნიო და ორი სამაზრო ერობის შემოღება.

სოხუმის ოლქის შესახებ კრებამ ერთხმად მიიღო დადგენილება, რომ სოხუმის ოლქში შემოღებულ იქნეს ორი სამაზრო და ერთი საგუბერნიო ერობა.

ერობის კომპეტენციის შესახებ კრება ერთხმად ლეზიკის სექციის დადგენილებას, რომ ამიერკავკასიის ერობის ისეთივე კომპეტენციები ექნეს, როგორც რუსეთისა და ყოველგვარი ცვლილება იქ მომხდარი ჩვენზედაც გავრცელდეს კრება დაიხურა დამის 12 საათზე.

**წერილი ოდიშიდან.**

აღდგომის დღეებში, როგორც ეს მოსალოდნელი იყო, ოდიშიში მოწყენით ჩაიარა. ძველებური ელფერი სოფლებს ერთიანად ჩამოშორდა და აქეთ მხოლოდ სიმშლილი,

ცხოვრების გაძვირება და მრავალი სხვადასხვა უბედურებაზე გაგონებით ჩივილს... ოდიშის მცხოვრებთა უმრავ

ლესობა (გლეხობა და ლატაკი აზნაურობა) დღეს ნათლად ხედვს, რომ ცხოვრების მიმდინარეობა სულ სხვა, ახალი გზით მიეჭანება და ნელ-ნელა ესენიც ვხვდებიან მისთან ხელჩართულ ბრძოლას.

ცუცხლის ზღვაშია მოქცეული მთელი ქვეყნიერება და არც არვინ უწყის თუ კიდევ როდემდის ვასტანს და სად დაესმება წერტილი ან ბარბაროსობას.

„გაქვირება მიჩვენებ, გაქცივას გიჩვენებო“ — უთქვამს ქართველსა და ამ ბრძოლულ თქმულვას ოდიშის ხალხი სწორედ დღეს ასრულებს. ნაკლებათა დღეს ოდიში ისეთი სოფელი, რომელიც კულტურულ საქმეებისათვის არ იღვწოდეს: ყველგან აარსებენ კოპობრატულ საავტონომიო, ბიბლიოთეკა-სამატიხველოებს, წვიროდ საკრედიტო ანხანავობებს და სხვა რაიც, რა საკვირველია, წყაროა საზოგადოებათა ორგანიზაციულად შეერთება — შეკავშირების. ესეც მადლობა ღმერთს, ოდიშის მიერ ებულ სოფლებშიც რომ გაიგეს მნიშვნელობა ძალთა საერთო მოქმედებისა. ხალხის მდგომარეობის გაუმჯობესება, თავის დაღწევა ჩარჩთა კლანტებისაგან და შეკავშირება სხვადასხვა გვარი ამხანაგობისა გაცრცელებითაა შესაძლებელი. და ამ ანბანურ ქეშპარტივებს არა თუ ოდიში ვერავინ გვერდს ვერ აუხვევს და დადგება უბიძგო, როცა კერძო მყვლეფლნი აღიგვიბინ დედამიწის პირიდან...

როგორც (ყველგან, აქეთაც ჩარჩების მიერ ხალხის შეუბრალებლად გაყვლეფამ გამოიწვიეს საზოგადოებრივ ძალთა ამოძრავება და უმეველიც არის, რომ საბოლოო გამარჯვების სასწრაფო ამ უკანასკნელებშიც გადაიხრება, რასაკვირველია, თუ ესენი ენერგიულად და მტკიცედ მოეკიდებიან თავიანთ საქმეს. დიდი სიფრთხილედ და დაკვირვება მართებთ ოდიშის სოფლებებში მოწინავე ელემენტებს, დიდი გამოცდილებათა მათთვის საჭირო, რომ ხალხი ეკლიან ვხას არ შეაჩხვონ, თორემ უბრალო რამ შეცდომებს შეუძლია ხალხს გული აუტრუსოს მათთვის მნიშვნელოვან საქმეზე და შემდეგ ბევრიც რომ იმეცადინოთ, ყოველივე ცდა უქმად ჩაივლის ჩვენში ჯერ ამა სად არიან იმდენად მომზადებულნი, რომ დამარცხებისა და გამარჯვების მიზეზები ეძიონ თვით საქმის ფარგლებში? პირველი ისინი ერთ ხმადვე მეთაურებს მოახვევენ თავზე, თუნდაც აბრამის ბატონივით უყოღველინი იყვნენ, რის გამოც, ხშირად მეთაურები სოფელს გაუბრძინან, სოფელ მეთაურებს.

ვიტყვი თ კიდევ, რომ ხალხს, რომელსაც სურს თავისი ცხოვრება უკეთესს პირობებში ჩააყენოს და არ ჩამორჩეს მანლობელ მეზობლებს, საჭიროა აუცილებლად ქონდეს რიგიანი შარა გზები. როგორც ქონებრივად, ისე გონებრივად ხალხთა განვითარების მთავარი ღერძი მიმოსვლის გაადვილება და სადაც ეს შეძლებისადაგვარად მოწესრიგებული არაა, არასოდეს მნიშვნელოვანი საქმე ბეჯითად ვერ იწარმოებს.

როგორ პირობებშია ამ მხრივ საქმე ოდიშიში? ცუდად, და ასე ძლიერ ცუდად, რომ მოწინავე ქვეყნის კაცი, ბევრიც რომ თავი იმტვიროს, ვერ შესძლებს, წუთითაც წარმოიდგინოს მიმოსვლელი გზების ასეთი უვარკისობა. მე თქვენ მოგახსენებთ შიდა ოდიშის შარა გზებზე თუმცა მაინცდამაინც სახარბიელოდ არც ის მთავარი გზებია გაკეთებული, რომელნიც სენაკიდან ზუგდიდ ნოქალაქე ამაშაპარტილისაკენ გადიან. ესთქება, სენაკიდან ნოქალაქემდის ეტლით მოხველით. მიემგზავრებიან შიდა ოდიშის სოფლებში უმთავრეს-ფოცხოვ-ახუთის შარა გზით. მე თქვენ გარწმუნებთ, რომ რაც უნდა ბედურ ცხენზე იჯდეთ, ისე გაუჭირდება ამ ოღრო ჩოღრობებზე ავლა დავლა, რომ მერტ ნაწილად ქვეითად სიარული მოგიხდებათ. და, თუ ავდარი შეგისვდეთ და ცხენიც ურიგო, თქვენი მტერია, ზღაბრულ ჯოჯოხეთს აქეც ცოცხლად იგებებთ. ამისათვის, უმთავრესი ყურადღება ოდიშის საზოგადოებისა უნდა იქნას მიქცეული გზების გაუმჯობესება და მიმოსვლის გაადვილებისაკენ. ეს არის პირველ ხანად მიუცილებელი საჭირო ჩვენთვის და ვისაც ოდიშე მაინც გული ეწვის საზოგადოებათა უიმედო მდგომარეობაზე საერთო ძალღონით ამ უვარკის გზების განახლებებზე უნდა იმეცადინონ.

და შემდეგ კი, ყოველივე კულტურული საქმეები და დაწესებულებები ისედაც შემოიკრებიან ჩვენში და ვაშლიან მაგარსა და დაუძლეველ ფრთებს.

ლი საქმეები და დაწესებულებები ისედაც შემოიკრებიან ჩვენში და ვაშლიან მაგარსა და დაუძლეველ ფრთებს.

რა საშუალებით და რომელი წყაროებით შეიძლება ამ მნიშვნელოვანი საქმის განხორციელება? ომიხა გამო მთავრობას ამისათვის დღეს არა სცალია და, როცა ეცალა, მაშინაც ყურადღება ჩვენთვის არავის მოუქცევია. მაშ ისევ შეერთებული საზოგადოება და მისი ჯანი...

სხვა გზა ჩვენთვის არ არის. სხვები — გარემოები — ჩვენ ვერ გვიშველიან და საკუთარ „მკვლარს“ ისევ საკუთრად უნდა მოუვაროთ. ამისათვის, ჩვენის აზრით, ძლიერ კარგათ იზამდა შიდა ოდიშის მოწინავე ელემენტები მთავრობის ნებართვით შეიკრიბებოდნენ სადმე და გამოსთქვამდნენ საერთო აზრს გზების შეკეთება-გასაუმჯობესებლად.

**შეფარება.**

„სინათლის“ საზოგადოების სეიონბაისთაის კიდევ შემსწავლეს.

გნ. ეპატრინე ამაშიც — ერისთავისამ — 4 საფურცელი. ვ. ჯ. ჯ. ჯ. — 12 ცხრილისაგან, მარა ბურჟუაზი — 2 კოლოფი სასატყუაფურცელი, გნ. მ. ე. ჯ. თ. ა. ო. ჯ. ჯ. ჯ. — ორბუღაისებში — ვერცხლის ჩასაგვსებში, გნ. ნ. ნ. ჯ. ჯ. ჯ. — ორბუღაისისამ — სამეფი, ფურცელი ფანჯრები, საფურცელი, ობიხური საყვავილე, ზატარა კოლოფი, 1 წიგნი ობიხური ფაზა.

„სინათლის“ სასწავლებლის მოწვევებში: გოგუც რიონსაგან — 50 კ. ქუთ, ბარბაქაძემ — 50 კ., თამარ, თურქული — მოქარგული ბაღისში: ზირა, თამარ კოკაიამ — ფინჯანი, თამარ ხახარაძემ — ფინჯანი, თამარ ცხაკაიამ — ფინჯანი და საფურცელი, ხნა ხოხაძემ — სინათლის ზარბაზანი, ქუთ. სუფაქაძემ — კალმის ტარი, ქუთ. სუფაქაძემ — ცხრილისაგან, მარ. არსენიშვილმა — ბურჟაუი, ქუთ. გაბაშვილმა — წიგნი და სათამაშო, ვაღანტინის აკობაშვილმა — წიგნი და სათამაშო ჭურჭელი, მარკარიტა მარკარიტა — წიგნი, ბარბარე შამრავაშვილმა — 2 წიგნი და 1 სათამაშო, მარ. ხუციანთაძემ — 3 წიგნი და 1 შუბა ღუბა, ბარბარე კარბაიამ — 2 წიგნი, ვ. ჯ. ჯ. კობახიძემ — სინათლის ფურცელი, ვ. ჯ. ჯ. ონიკაძემ — სათამაშო, ქუთ. ეთიანი — ზატარა ბაღისის კადასაფურცელი, ტატანის რიონსაგან — სათამაშო კადათა, თამარ ერგულიძემ — საწერელი და კალმის ტარი, ეპატრინე ამაშიც — ორი საყვავილე ფაზა, ხნა ამაშიც — საღმურთი და მარ, თამარ აბულაძემ — 2 წიგნი, ეპატრინე ცხცხაძემ — სათამაშო, ოდა: სათამაშო — წიგნი, შუბაძემ — წიგნი და ცხრილისაგან, ხნ. ტა დადიამ — წიგნი და „სინათლის“, ქსე ხნა ფადაძემ — ბურთა, ქუთ. სუფაქაძემ — 3 ხნის საღმურთი.

რედაქტორი ი. ცინცაძე. გამომცემელი ამხან. „სამშობლო“

**იყიდა**

ორსართულიანი სახლი

ქალაქის ცენტრში. იკითხეთ „სამშობლო“ რედაქციისში. 3-8-143

უმალეს კურსდამთავრებული ჯგუფი **ამშობლო** მოწვევებს საშუალო სასწავლებელთა ყველა კლასებისათვის და აგრეთვე სხვადასხვა მოწოდების მასალად გამოცდებისათვის. პირობების გაცმა შეიძლება სალაშქრო ყოველ დღე შემდეგი მისამართით: თბილისის ქ. სახლი გიორგი გურგენიძისა. თ.

**გაზი** მ. მ. კოხრამიძე უტრის ყველის, უკეთებს ნემსებს, ეხმარება მშობიარეთ და აძლევს ავთომიკოთ რჩევა-დარიგებას ოგელ დროს. ალექსანდრეის ქუჩა, სკ. თელავისის სახლი, ფიადრეის შარაზის შარაზი.

**ამი** ა. მ. ახათიანი, განახლა ავთომიკოთ მისი (ქალურ) ვენეროლ და შინაგან ავთომიკოთ ყოველ დღე დღის 11-2 საათამდე და საღამოს 5-7 საათამდე, პუშკინისა და ბალახანის ქ. კუთხე, 11 სახლი № 2. თ.

**ამი** გაბრიელ იოსების ძე გოგიანი ელექტრინისა და სინათლის კომპეტენტი. შინაგან ნემსებისა და ვენეროლ ავთომიკოთ მისი დღის 9-12 საათ. სალ. სალ. 6-9 ალექსანდრეის ქ. საკუთარი ს. თ.

**ამი** ი. ჩხარბიძე ქალაქ. საავთომიკოთ ყოველს ორნიშობლივ. იღებს ქანის, ვენეროლ და სინათლის ავთომიკოთ. (სისხლში შუხნა 606 და 914) დილით, 12 1/2 - სათ. სალ. 6-8 სათ. მისამართი: ლეგიაზი ქუჩა, ალიბეგის სახ. ტელეფონი № 135. თ.

**ამი** მ. შლინი, ყელის, ცხვირის და ყურების ლეზიონებს ავთომიკოთ მისი დღის 2-3 საათამდე, საღამოს 6-8 საათამდე, კვირას ვარა. თბილისის ქუჩა, № 70, სახლი ქაიხოსრო ჯავახიძისა. 10

**ამი** შალვა კოკოჩავი იღებს ბავშვთა და შინაგან ავთომიკოთ მისი დღის 1-3 საათ. და საღამოს 8 სათ. თბილისის ქუჩა, № 46, ტელეფონი № 37.

**ელექტრო „რადიო“ თეატრი** ხუთშაბათიდან, 5 მაისიდან ახალი პროგრამა **პატი შარალი**. მიმდინარე ამბები.

**და... ველებფერი დატრებულია...** **დაცინულ-დამსხვრეულია** საყურადღებო დრამა ხუთ ნაწ. მონაწ. იღებს ვარაზის მთავრობის თეატრის მსახიობი ტოლი ნეგრი.

**ანონსი:** ორშაბათიდან, 9 მაისიდან **პატი შარალი** 339 მიმდინარე ამბები

**ცეკვა სიბოროტისა** მხატვრული დრამა 5 ნაწილიდან ცნობილ მსახიობ ქალის ფრანსესკა ბერტინის მონაწილეობით.

**ელექტრო „ამპირი“ თეატრი** ხუთშაბათიდან, 5 მაისიდან მხოლოდ მოზრდილთათვის ახალი პროგრამა. **გომონის ძროხა** 36 მიმდინარე ამბები

**ერთი შეისახნა, მეორე გაიპარსა** ფარსი 4 ნაწ. პროლოგით და ეპილოგით სვეტლოვის, ვერნერის, პანოვის, მურაკოვის, დუნაევის, ნილინისა და სხვათა მონაწილეობით. რეჟისორი ბინ-ტომასევი.

**ანონსი:** ორშაბათიდან, 9 მაისიდან **გომონის ძროხა** 36 მიმდინარე ამბები

**განსუდით, დაწვევლილო სიმებო!** დადგმულია ნ. პ. მალაკოვისაგან პოკროვისისა და კაშვეკის მონაწ. **დაჩარა მყოფი, მარამა უპილო** კომედი.

ადგილების ფასი „ამპირს“ და „რადიოში“: ლოკა 85 კაპ, 1 ადგ. 75 კაპ, 2, 50 კაპ, 3, 30 კაპ. მოწვევით: 2 ადგ 30 კაპ, ჯარის კატაოთის მესამე ადგილი 20 კაპ.

**ქალაქის თეატრი.** კვირას, 8 და ორშაბათს, 9 მაისს, თბილისის ქართ. მომღერალთა გუნდი

**მინილ კავსაქის** ლიტერატობით გაბარბათს სხვადასხვა პროგრამით ორ დიდ **კონცერტს** კიზილ და მირა დღეს შემსრულებელი იმედა სხვადასხვა სიმღერით. ადგილების ფასი 3 მ. 50 კლან ვიღრე 50 კ-მდე. დასაწყისი საღამოს 8 1/2 საათზე. ადმინისტრატორი ა. ყალაბეგიშვილი გუნდის გამგეობა.

მშათა ქორეოლაძეების **ხრესილის აბანოზე** უკვე გაიხსნა სეზონი. წელს შედარებით წარსულ წლებთან ველებფერი გაუმჯობესებულია და ფასებიც ზომიერი

**სიფილისი.**

ყოველ მის სტადიაზე წარმატებით რჩება გაუმჯობესებული ფრანგული **ქე. დე ვიზის პრეპარატი** საშუალებით. სიფილისის მისაჩვენებელი სმარტული საშუალებების უმნიშვნელო მოქმედებას ამ დასვენება მიუყვანს ავთომიკოთ, რომ წამლებს თავს ახელებს და ამით თავის თავს შევსებულად სიფილისში ავადობს: სიფილისის ბაქტერიები, მძლავრდებიან რა ავთომიკოთ სიფილში, შესაძლებელია ორგანიზმში სმარტული შინაგან ავთომიკოთ სიფილში, სიფილისის დასაძლევად დასაძლევად. მხოლოდ რადიკალურად და ენერგიულად წამლებს სიფილისის წინააღმდეგ ავთომიკოთ ფადაძის ავთომიკოთ სიფილისისაგან.

**პრეპარატი ქე. დე ვიზის** ცნობილია ექიმებისაგან შეუდარებელ საშუალებათ სიფილისის წინააღმდეგ შინაგან ავთომიკოთ წამლებს დროს.

**პრეპარატი ქე. დე ვიზის** სრულყოფილ სმარტული წამლებს და სმარტული შინაგან ავთომიკოთ სიფილისისაგან ავადობს და სმარტული შინაგან ავთომიკოთ სიფილისისაგან ავადობს.

**პრეპარატი ქე. დე ვიზის** სმარტული წამლებს, ჩიქის დენას გუმის და შინაგან ავთომიკოთ სიფილისისაგან არის გამოწვეული, სმარტული ტეოვად, ფეხების ავთომიკოთ, ზურგისა, უძილბას, მესიფილების, მძლავრდებიან და სმარტული სისუსტის.

**პრეპარატი ქე. დე ვიზის** დაღ სმარტული წამლებს ავთომიკოთ და ამოტრებს მის ხრესილისა და მთელი ორგანიზმის პროგრესიულ სიფილისის. სიფილისის თავიანთ ასიფილის **პრეპარატი ქე. დე ვიზის** აუიღებს ქ. ქუთაისში მხოლოდ **პრეპარატი ქე. დე ვიზის** ავთომიკოთ მასალაში, გიმნაზიის ქუჩა, თეატრის შარაზი.

ფასი ერთი კოლოფის 6 მანეთი, წამლებს მიუღი კურსისათვის სავტრას 3-5 კოლოფი.

**კოპულიაქული გომონის იზავენა უფასო.** 9 - (წაფერი)